ცნობის ფურცელი

№ 2076 — შაბათი, 22 თებერვალი — 1896—1903 — ყოველ-დღიური გამოცემა — № 2076

ხელის მოწერის ფასი: წელიწადში—6 მან., ცალკე ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: პეტიტის სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ბანკის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირი მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ნე საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ს ი ა

„ქართვ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წევრთა, რომელთაც შემოიტანეს საწევრო ფული 11—17 თებ. განმავლობაში:

№№	სახელი და გვარი	მ.	კ.
1	პავლე შერმ. ქყონია.	12	—
2	ილია მათიკაშვილი	6	—
3	ივ. ზურაბიშვილი	6	—
4	სარდიონ ამირაჯიბი	6	—
		30	—

თბილისის
კერძო სამკურნალო
გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

ე ი მ ე ბ ი:

ვ. ი. ჩიჩინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მუღინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

ა. ნ. ბადალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

ი. ა. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. ძამოევი.—საშარდე (ხირურგიული) ავადმყოფ.: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

ბ. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა—ორშ. ოთხშ. და შაბათი $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ვ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: კვირაობით 10—12.

ბ. გ. ამბარდანოვი—სითეთრისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

მრ. ვ. ხოგოლევსკი—ხირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ა. ვ. ბადალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილისაცრა 6—8 საათამდე. (მიკრო-ქ. მიკრო და ბაქტერიოლოგიური ...“

მუდმივი ...

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამ მანეთიდან ხუთამდე.
ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, №-21. (აგზალის ქუჩის დასაწყისში). ტელეფონი № 274 (წ.

ე ქ ი მ ი
ვ. ლამბაშიძე
იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.
ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი
იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.
ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.

საზღვარ-გარედ

ინგლისი. როგორც ვიცით, თვით მთავრობის მომხრე დეპუტატებმა მეტად მკაცრად გაჰკიცხეს მთავრობის სამხედრო რეფორმა. პირველი მინისტრი ბალფური იძულებული იყო პალატისათვის ნდობის გამოცხადება ეთხოვნა; ამას გარდა ბალფურს შეეშინებინა კიდეც პალატა: შეიძლება რუსეთთან ომი მოგვიხდესო. პირველ მინისტრს ეთქვა:

„სამხედრო რეფორმის კრიტიკოსები სრულ სიმართლეს ამბობენ: ჩვენის იმპერიისათვის ფლოტს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ფლოტი ყველაფრის მაგიერობას ვერ იზამს; ვერაფერი ჭკუა იქმნება, რომ ფლოტს გარდა სხვა ჯარიც არ ვიყოლიოთ, რადგან მარტო ფლოტით იოლას ვერ წავალთ, თუ ვისთანმე ომი მოგვიხდა. არა მგონია, რომ რუსეთსა და გერმანიას ომი მოუვიდეთ (ტაშის ცემა), ამავე დროს გერმანიის და რუსე... ...მის შეიძლებობა არ ... თვის თავდარიგი აღარ დაიჭიროს, რას იტყოდით მაშინ. ასე, ჩვენც არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ ინდოეთის საზღვარიც ბრიტანიის იმპერიის ნაწილია და იქ ჩვენ სამხედრო მეზობლად (თუ კი შეიძლება ასე ითქვას) პირველ-სარისხოვანი სამხედრო სახელმწიფო გვყავს. რუსეთის სტრატეგიული მდგომარეობა საშუალო აზიაში, რაც ხანი გადის, იმდენი უფრო ძლიერდება; მართალია, რუსეთთან ომი არც სასურველია და არც მოსალოდნელი, მაგრამ შეუძლებელი კი არაა; ვერც ერთი სამხედრო ავტორიტეტი ვერ გაჰბედავს იმის თქმას, რომ ჩვენ რუსეთთან ომის დროს ინდოეთის ჯარის გარდა სხვა სამხედრო ძალაც არ დაგვჭირდეს; სამხედრო სამინისტრომაც სწორედ ამ აზრით შეადგინა თავისი პროექტი და ახალ ჯარის გაჩენა განიზრახა.“

დასასრულ ბალფურმა სთქვა:

„ეხლა პალატამ კენჭის ყრა უნდა მოახდინოს და გამოაცხადოს: ენდობა მთავრობას, თუ არა. კენჭის ყრის შედეგისა სულაც არ მეშინიან, რადგან მტკიცედ მრწამს ის პოლიტიკა, რა პოლიტიკასაც ასე მკაცრად ჰკიცხავენ. პასუხის გებას არ მოვერიდებით; ჩვენი თავი ჩვენვე შეგვეზიზღებოდა, იმას რომ დავსთანხმდეთ, რაც არა გვრწამს და ჩვენი აზრი რომ შევიცვალოთ იმპერიის დაცვის თაობაზე. თუ პალატას ჰსურს, რომ ჩვენი სამხედრო ძალა ჩვენის იმპერიის საჭიროებას არ შეეფერებოდეს, დაე, მაშინ სხვა სამინისტრო მოიწვიოს“.

ამის შემდეგ პალატამ დეპუტატ ბენეტის წინადადება სამხედრო რეფორმის გაკიცხვის თაობაზე 116 (261 წინააღმდეგ 145) ხმით უარ ჰყო.

✦ წარსულ ოთხშაბათს ირლანდიის საპარლამენტო პარტიის მეთაურმა ჯონ რედმონდმა წინადადება მისცა პალატას: მოვსთხოვოთ მთავრობას, რომ ირლანდიის მამულების შესყიდვის თაობაზე შედგენილ ბილს საფუძვლად დუბლინის საადგილ-მამულო კონფერენციის დადგენილებანი დაუდვასო. რედმონდმა სთქვა:

„ამ კონფერენციის დროს ლენდ-ლორ... არენდატორებმა ისეთი კომპრომისი შეიმუშავეს, რომ იმისი ასრულება მარტო ხაზინის შემწეობით შეიძლება; ამიტომ ხაზინამ უსათუოდ დახმარება უნდა გაუწიოს არენდატორებსაო“.

რედმონდს ირლანდიის საქმეთა მინისტრმა უინდჰემმა უპასუხა: სინამ ირლანდიის ბილს არ წარმოუდგენ პალატას, მინამ ვერაფერს ვერ დაგპირდებათო. უინდჰემმა დაუმატა: მეც დიდს მნიშვნელობას ვაძლევ დუბლინის საადგილ-მამულო კონფერენციის დადგენილებას და იმედი მაქვს, ირლანდიელები მთავრობის ბილის გარჩევის დროსაც იმავე მშვიდობის მოყვარეობასა და მოთმინებას გამოიჩენენ, როგორიც დუბლინის კონფერენციის დროს გამოიჩინესო. ბოლოს რედმონდმა უკან გაიტანა თავისი წინადადება.

ავსტრო-უნგრეთი. კერბერს უნდა როგორმე ჩეხების გული მოიგოს. ამ აზრით კერბერი დაჰპირებია მლადოჩეხებს: თქვენის ინტერესების წარმომადგენლად კაბინეტში რეზეკს მაგივრად უფრო მხნე, გამჭრიახე და მოხერხებულ ჩეხ-დეპუტატს კრამარჟს დავნიშნავო. მლადოჩეხებს არც თუ ძლიერ მოსწონდათ რეზეკი, ამიტომ ადვილად დასთანხმდებიან კერბერის წინადადებას. პირველმა მინისტრმა იცის, რომ კრამარჟის მინისტრად დანიშვნა ძლიერ ეწყინებათ გერმანელებს, ამიტომ კერბერი გერმანელ დეპუტატებსაც დაჰპირდათ, თქვენის ეროვნულის ინტერესების წარმომადგენლად კიდევ საერო პარტიის წევრს დეპუტატს დერშატს დავნიშნავო.

გერმანელები მაინც წინააღმდეგნი არიან კრამარჟის დანიშვნისა. ამის თაობაზე გერმან. გაზ. „ნ. ფ. პრესე“-მ და „ბოჰემია“-მ წერილები დაჰბეჭდეს და დიდი პროტესტი გამოაცხადეს კრამარჟის დანიშვნის წინააღმდეგ. „ნ. ფ. პრესე“ ამბობს: „კრამარჟი ნამდვილი მტერია გერმანელებისა. ცირკულიარი ჩეხურ ენის უფლების შესახებ, კლარის სამინისტროს დაცემა, ჩეხების ობსტრუქცია—სულ კრამარჟის ბრალიაო. გერმანელებმა ყველა ეს რომ დაივიწყონ, იმას კი ვერას დროს ვერ დაივიწყებენ, რომ კრამარჟი სცდილობდა უბრალო კენჭის კრის საშუალებით პალატისათვის ახალი წესდება მოეხვია თავზე.“ ამის შემდეგ გაზეთი იხსენიებს: კრამარჟი მუდმი...

...რიჩარდსონისა—რომანე... ...ტინდინ...

მაშინ დიდი სარგებლობა მოუტანია. დღეს ... ევროპა და ამე... ...ობს რუსის ახალ... ...ნაწერებს; ...ორს

ვიმტერია გერმანიასთან კავშირისაო; თუ გინდ გერმანელებმა ხმა არ ამოიღონ, გარეშე საქმეთა საზოგადო მინისტრი გოლუხოვსკი მაინც არას დროს არ დასთანხმდება, რომ სამთა კავშირის მტერი ავსტრიის მინისტრად გახდეს. დასასრულ არც ერთი გერმანელი პოლიტიკოსი-მოღვაწე არ დასთანხმდება კრამარჟის ამხანაგობას: უამისოდ კი ვერარც კრამარჟი ეღირსება მინისტრობას.

შეერთებული შტატები. გაზ. „სინ“-ი იუწყება, კანზასის შტატის საკანონ-მდებლო კრება უცოლო კაცების და გაუთხოვარ ქალების წინაამდეგ კანონის გამოცემას აპირებსო. ამ კანონის ძალით ყოველი ჯანმრთელი კაცი, 45—65 წლ., თუ ცოლი არ შეირთო, მოვალე იქნება ყოველ წელს 25 დოლარი (50 მან.) გადაიხადოს. ამდენსავე გადაიხდიან უქმრო ქალები, 35—50 წლ. ეს ფული სკოლებს მოჰმარდება. კანონპროექტს შენიშვნა აქვს დატანებული, რომ ყველა უცოლო მოხელეებს ჯამაგირი აღარ მიეცემათო. ეს ჯამაგირიც სკოლებს მოხმარდებაო.

ოსმალეთი. სამი ათასმა ალბანელმა უსკიუბთან კრება მოახდინეს რეფორმების წინააღმდეგ პროტესტის გამოსაცხადებლად და მერე ქალ. უსკიუბს ალყა შემოარტყეს. ბოლოს ალბანელებს სერბიელი ვაჭარი პოპოვიჩი მოუკლავთ, რევოლვერებით ძალა დაუტანებიათ ოსმალელ ტელეგრაფისტებისათვის და ხონთქართან დეპეშა გაუგზავნიებიათ. დეპეშაში ალბანელები დიდს პროტესტსა და მუქარას უთვლიან თურმე ხონთქარს.

ახალი ამბავი

✦ ხუთშაბათს, 20 თებერვალს, სხდომა ჰქონდა ტფილისის გუბერნიის ქალაქის საქმეთა საკრებულოს. სხვათა შორის, საკრებულომ განიხილა ტფილისის საბჭოს ის გადაწყვეტილება, რომლითაც საბჭომ სახელოსნო სკოლის გამგე კომიტეტის არსებობა კანონიერად იცნო. საკრებულოში ამ გადაწყვეტილებას დიდი კამათი გამოუწვევია. წევრთა უმრავლესობა წინააღმდეგი ყოფილა საბჭოს გადაწყვეტილებისა და ის აზრი გამოუთქვამს, რომ საქალაქო დებულების აზრით კომიტეტი დღეიდან აღარ არსებობს და იმან უნდა შესწყვიტოს მოქმედებაო. საბჭოს წარმომადგენელს თავ. ვ. მიქელაძეს და მოურავის მოადგილეს შესტაკოვს თავიანთი აზრი გამოუთქვამთ ამ საქმის შესახებ. თავ. მიქელაძეს უთქვამს, რომ კომიტეტი კანონიერად არსებობს და ვიდრე სენატიდან განმარტებას არ მივიღებთ, კომიტეტმა უნდა იმოქმედოსო. ბოლოს საკრებულომ უარ-ჰყო საბჭოს გადაწყვეტილება.

✦ პეტერბურგიდან გვატყობინებენ, რომ ტფილისიდან წასულს ებრაელთა დეპუტაციას მთავარ-მართებლის წინაშე აღუძრავს შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ტფილისში დატოვებულ იქმნან ის ებრაელები, რომელთაც ამას წინად გამოეცხადათ განკრაგულება ტფილისიდან წასვლის შესახებ. ეს საკითხი პეტერბურგში გუშინ, 20 თებერვალს, უნდა გადაწყვეტილიყო.

✦ თელავში დასრულდა „კახეთის“ ამხანაგობის წევრთა კრება. გამგეობის წევრად კრებამ აირჩია წინანდელივე წევრი— ვ. რცხილაძე. სხვათა შორის, კრებამ დაადგინა ავადმყოფ არტისტის ვლ. მესხიშვილის სასარგებლოდ გადასდოს 200 მანეთი.

✦ ყაზახიდან (განჯის გუბ.) გვწერენ, რომ 20 თებერვალს საპოლიციო დარაჯთ შეუპყრიათ ციმბირიდან გამოქცეული ავაზაკი მუსა-კიასუმ-ოღლი.

✦ ქიათურიდან გვატყობინებენ: 20 თებერვალს, საღამოს 11 საათზე, ქიათურის შტოს მე-16 ვერსზე, ბოსლევის მახლობლად, მიმავალს საქონლის მატარებელს დაეცა ქვის ზვავი, რომელმაც ორთქლმავალი და 13 ვაგონი ლიანდაგიდან გადააგდო. სამი ვაგონი დაიმსხვრა, დანარჩენი დაზარალდა. დაშავდა კონდუქტორი ვ. კალაშნიკოვი, რომელიც გზაში გარდაიცვალა. ჩამოწოლილმა ზვავმა გზა შეჰკრა.

✦ ტფილისის საგუბერნიო სამკურნალო გამგეობას სოფლის ექიმებისაგან ცნობები მოსვლია, რომ ზოგნი სოფლელნი ერიდებიან ყვავილის ამცრელებს და არ აცრევინებენო. ამას გარდა, როგორც გამოირკვა, ხშირად სოფლებმა არც კი იციან ამცრელების მისვლა, რადგან ექიმები წინდაწინვე არ ატყობინებენ ადმინისტრაციის შემწეობით მცხოვრებთ, რომ ამა და ამ დროს ამცრელები მოვლენ და დაამზადეთ ბავშვები ასაცრელადაო. ამის გამო გუშინ საგუბერნიო სამკურნალო გამგეობამ მოწერილობა გაუგზავნა სამაზრო ექიმებს შეასრულონ ინსტრუქციის მესამე მუხლი. ამ მუხლის ძალით, სამაზრო ექიმმა ადმინისტრაციის მეოხებით უნდა შეატყობინოს სოფლის მცხოვრებთ, რომ ამცრელები მოდიან და ამა და ამ დროს ასაცრელი ბავშვები აღნიშნულ ადგილს დაახვედრეთო.

✦ როგორც გვითხრეს, აღძრულია კითხვა მეტეხის საპყრობილეს საავადმყოფოს გადიდების შესახებ, რადგან ტუსაღ ავადმყოფთა რაცხვი იზრდება და ახლანდელს საავადმყოფოში არ ეტევა.

✦ ქალაქის გამგეობას უკვე შეუმუშავებია პროექტი ტფილისის ცეცხლის მქრობელ რაზმის შტატის შეცვლის შესახებ. რადგან ამ პროექტის შესადგენად შუამდგომლობა ტფილისის პოლიცმეისტერმა აღძრა, გუშინ იმან სთხოვა გამგეობას გაუგზავნონ განსახილველად, ვიდრე საბჭოს წარუდგენენ. გამგეობამ გაუგზავნა პოლიცმეისტერს პროექტი.

✦ გუშინ „კავკაზ“-ში დაბეჭდილი იყო, რომ ქალაქის გამგეობამ საქალაქო ინჟენერად მოიწვია ინჟ. კოგნოვიცკიო. ეს ცნობა სავსებით მართალი არ არის: ქალაქის ინჟენერის ადგილი ისევ თავისუფალი რჩება, კოგნოვიცკი კი მოწვეულია ტეხნიკოსთა ზედამხედველად.

✦ როგორც ვიცით, ამიროვმა 15,800 მანეთი შესწირა ქალაქს სახელოსნო სასწავლებელში სტიპენდიების დასაარსებლად. გუშინ ქალაქის მოურავის მოადგილემ, ბ. შესტაკოვმა, მისწერა სახელმწიფო ბანკის ტფ. განყოფილებას ეს ფული ქალაქის საერთო თანხიდან ხსენებულ სასწავლებლის თანხაში ჩაირიცხოს.

✦ პეტერბურგიდან „ნოვ. ობ.“-ს დეპეშით ატყობინებენ: ქუთაისის გუბერნიის სატყეო რევიზორი ვუჩინო დაინიშნა იმავე გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა გამგის თანაშემწედ; ტფილისის მეორე განყოფილების მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწე ზიათხანოვი—ეკატერინოდარის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელის ამხანაგად; ქუთაისის ოლქის სასამართლოს წევრი პრიმო—ტფილისის ოლქის სასამართლოს წევრად.

✦ მკითხველთ ეხსომებათ, რომ ამას წინად ნაძალადევში მოჰკლეს ასისთავი პირა თუმა ოღლი. მკვლელობის მეორე დღესვე პოლიციაში გამოცხადდა მოკლულის ცოლი ანნა, რომელიც მაშინვე დაატუსაღეს. გუშინ-წინ პოლიციამ დაატუსაღა მეორე მკვლელი, ჯაბრაილ აბდაშ-ოღლი, რომელიც თუმა-ოღლის ცოლს ჰყვარობდა თურმე. როგორც მისი ჩვენებიდან სჩანს, მას პირა თუმა-ოღლი მისის ცოლის ბრძანებით მოუკლავს. დატუსაღებულია აგრეთვე ახუნდი, რომელთანაც ჯაბრაილი თავს იმალავდა.

✦ გუშინ ტფ. პოლიცმეისტერმა დაიბარა ყველა ბოქაულები და გამოუცხადა, სასტიკი ყურადღება იქონიეთ ტფილისში მომსვლელთა და ტფილისიდან წამსვლელთა შესახებ ცნობის დროზე გამოგზავნაზეო.

✦ დღევანდლამდე ტფილისელი მეეტლეები ნომრებს იღებდნენ ქალაქის გამგეობისაგან 1 მარტამდე, ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს 15 აპრილის. გუბერნატორის განკარგულებით პოლიცმეისტერმა მისწერა გამგეობას, იმ მეეტლეებს, რომელიც პირველ მარტამდე არ აიღებენ ნომრებს, ნება არ მიეცემა ბირჟაზე გამოსვლისაო.

✦ 19 თებერვალს სხდომა ჰქონდა ქალაქის საბჭოს იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს სატრაქტირო დაწესებულებათა ქუჩებზე განაწილება. კომისიამ თავმჯდომარედ აირჩია ნ. ა. ხუდადოვი.

✦ ხუთშაბათს, 27 თებერვალს, ტფილისის ქალაქის გამგეობისა და სასწავლებელთა გამგეკომისიის შეერთებული კრება მოხდება. კრებამ უნდა შეიმუშავოს ის საჭირო კანონი, რომლითაც განსაზღვრებულ იქმნება საქალაქო საქმეთა საკრებულოს გადაწყვეტილება კომისიის სახელმძღვანელოდ შედგენილ ინსტრუქციის შესახებ.

✦ 17 თებერვალს ტფილისის სადგურზე, მანევრების დროს, სასიკვდილოდ დაშავდა დურგალი გლას იაკუშევი. იაკუშევი ლიანდაგს გადადიოდა და ვაგონი დაეტაკა.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობას აზრადა აქვს დააწესოს თანამდებობა ქალაქის ხარჯის დუქნების გამგის თანაშემწისა.

✦ დღეს, 22 თებერვალს, სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმეები: არონ ბადდელაშვილისა, თეიმურ მიქაიასა და სხვათა, რომელთაც სხვა-და-სხვა დანაშაულობის ჩადენა ჰბრალდებათ.

✦ 20 თებერვალს, ფომინის ქუჩაზე, ჩაჩანიძის სახლში, დილის 10 საათსა, 25 წუთზე შემდეგი ბოროტ-მოქმედება მოხდა: იქვე მდგომი მოხუცი თერძი ჰაირაპეტ ხანამიროვ მატევოსიანცი ბაზრიდან დაბრუნებულა. ერთის საათის შემდეგ მისულა იმასთან ორი ამხანაგი—კარაპეტ აიმჯიანცი და ჰაპეტ პაპაევი. ამათ მიუციათ მოხუცისთვის წერილი და უთხოვნიათ, ჩვენ მარკის ფული არა გვაქვს, შენ გექნება და გაგვიგზავნეო. ამაზე მოხუცს უარი უთქვამ და თანაც დაუმატებია: მე ხომ თქვენი პოსტა არა ვარ, აჰა, ერთი აბაზი და გაგზავნეთო. ფული გამოურთმევიათ და წასულან, მოხუცი კი წამოწოლილა, მაგრამ ორის წუთის შემდეგ უკანვე დაბრუნებულან, ერთი მიჰვარდნია მოხუცს და ყელში ხელი წაუჭერია, ხოლო მეორეს ყუთებში ჩხრეკა დაუწყია. ქუჩაში მდგარა ორი ყმაწვილი და იმათ შემოესმათ ოთახიდან რაღაც ხმაურობა. ფანჯარაში შეიხედეს და ყველაფერი დაინახეს; შეუტყობინებიათ იქვე მდგომ მეეზოვესთვის და სამივენი შესულან სახლში, მაგრამ ბოროტ-მომქმედნი დამალულან. ხმაურობაზე პოლიციელნიც მოვიდნენ. ბევრის ძებნის შემდეგ ორივე კრაოტ ქვეშიდან გამოიყვანეს. შეაყენეს ოქმი და ორივენი დააპატიმრეს, მოხუცი კი საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

✦ მსროლელ ჯართა მეორე ბატალიონის უფროსმა სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას, როგორც წინა წლებში, წელსაც ბატალიონს დაეთმოს კუკიის სათივე ადგილები იმ პირობით, რომ ბატალიონი თავის ხარჯით თივას მოსთიბავს და ქალაქის გამგეობას ნახევარს გამოუგზავნის.

✦ 19 თებერვალს, მეორე გილდიის ვაჭარს სუმბათ შარბაბჩევს პოლიციაში განუცხადებია, რომ

მელსაც მეთვრამეტე საუკუნეში უკვე მოპოვებული ჰქონდა პოლიტიკური თავისუფლება, სწყუროდა თავისი თავი ლიტერატურაში დაენახა, იმისი მწუხარება და სიხარული მკითხველ საზოგადოებასაც სცოდნოდა. მოთხოვნილებას მენტალისტ...

რატურაში. საჭირო იყო საზოგადოებრივ წეს-წყობილების დემოკრატიზაცია და ამ დიად საქმეში სენტიმენტალისტებმა როლი შეასრულეს. ერთის ს... რანგეთში სენტიმენ...

კაცობრიობის უმრავლესობა იტანჯება ეკონომიურად და ზნობრ...

ბის ერთი ნაწილი არა მუშაობს, ამიტომ ... აწვება კისერზე ყველა... მუშაობს, მაგრამ ... მუშაობ... იქმნე... საკმა... არც ... რი;

ჩემ შინ არ ყოფნის დროს, ვიღაც ბოროტ-განმზრახველმა ოთახიდან გამოიტანა რკინის კოლოფი, რომელშიაც იყო 1000 მან., ფასიანი ქაღალდები და თამასუქები, სულ 5000 მანეთისაოა. ვაჭარმა ამ ქურდობაში ეჭვი განაცხადა თავის მოსამსახურე ტარიელ დუჩვაძეზე, რომელიც უკვე დააპატიმრეს.

✦ 20 თებერვალს, საღამოს, $7^1/_2$ საათზედ თამბაქოს ქარხანის „მირის“ ერთ განყოფილებას გაუჩნდა ცეცხლი. ცეცხლის გაჩენა შეიტყეს მაშინ, როცა იგი გაძლიერდა და მოედვა უფროსის სადგომის კარებსა და კედელს. ცეცხლის მქრობელმა რაზმმა ქარხნის მუშების დახმარებით ცეცხლი მალე ჩააქრო. ქარხნის პატრონის განცხადებით, ზარალი 8000 მანეთამდეა. ქარხანა დაზღვეული ყოფილა „ნადეჟდას“ საზოგადოებაში.

ქუთაისის ახალი ამბები

✦ ქუთაისის სასოფლო სამეურნეო საჭიროებათა კომიტეტის უკანასკნელი კრება დანიშნულია 24 თებერვლისათვის. როგორც გადმოგვცეს, კომიტეტის ყველა დადგენილების რედაქცია მიუნდვიათ პირველ სექციის თავმჯდომარის ვ. ა. სტაროსელსკისათვის.

✦ 20 თებერვალს მოხდა ქუთაისის სახალხო წარმოდგენათა კომიტეტის კრება, რომელზედაც განხილულ იქმნა ანგარიში და სხვა საქმეები.

✦ ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგე მელნიკოვი, დამფასებელ კომისიის წევრებთან ერთად, 19 თებერვალს ტფილისს გაემგზავრა ბანკის საქმეების გამო.

პრესსა

„ნოვ. ობოზრ.“-ე მოკლე შენიშვნას უძღვნის „მოამბის“ იანვრის წიგნსა და, სხვათა შორის, ეხება შ. არაგვისპირელის მოთხრობას „პირველი სიყვარული.“ შენიშვნების ავტორს მოსწონს მოთხრობა: ჩვეულებრივ ნიჭიერად არის დაწერილი, საინტერესო შინაარსისა და პსიხოლოგიური ანალიზიც მართალი აქვსო. მაგრამო, განაგრძობს ავტორი,

მწერალს ვერ აუცდენია თავისი ჩვეულებრივი (?) ნაკლულევანება—ცოტაოდენი ცინიზმი. ხსენებულ მოთხრობაშიაც, მაგალითად, ავტორს საჭიროდ მიაჩნია გვაცნობოს, რომ გმირი ბავშვობაში ცნობილის ბავშურის სენით იყო შეპყრობილიო.

ნეტავი სად მოელანდა „ნოვ. ობოზრ.“-ს ეს სენი? ჩვენ განგებ მეორედ გადავათვალიერეთ მოთხრობა და ვერსად ვერ აღმოვაჩინეთ, რომ მწერალს გადაკვრითაც ეხსენებინოს ეს ამბავი. უეჭველია, ავტორს მოჰლანდებია ეს გარემოება და შეიძლება იმის მიზეზითაც, რომ ხშირად თუ ჰკითხულობს „ნოვ. ობოზრ.“-ში მოქცეულს უწმაწურ განცხადებას რაღაც ცინიკურ წიგნის შესახებ, რომელიც „იჭვიანებს არ ეგზავნება“?!..

***

მოსკოვში ამ ჟამად გამართულია ხელოვანთა გამოფენა. მოსკოვის გაზეთები, სხვათა შორის, აქებენ ჩვენის თანამემამულის, ი. გ. გუგუნავას, სურათებს. „რუსკ. ვედომ.“-ი სწერს:

წლევანდელს გამოფენაზე ბევრია ნამეტნავად აჭრელებული სურათები. ამგვარებია, მაგალითად, ი. გ. გუგუნავას პეიზაჟები; მაგრამ ზოგიერთი მისი სურათი კარგია, მათში გულწრფელი გრძნობაც იხატება, ნამეტურ სურათში, რომელიც წარმოადგენს გაზაფხულს მოსკოვის მიდამოებში. განსაკუთრებით ლამაზი და საინტერესოა ბ. გუგუნავას ორი ესკიზი.

კახეთის მევენახეთა საზოგადოების კრება

(დასასრული)

14 თებერვალს 11 საათზე დაიწყო კრება, თავ. ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის თავმჯდომარეობით. დასწრო 50 წევრი.

თავმჯდ. თავ. ნ. ზ. ჩოლოყაშვილი. უნდა მოვისმინოთ ზედამხედველ კომისიის ანგარიში. თავ. ს. ვახვახიშვილის წინადადების თანახმად, სჯობია, გავარჩიოთ თვითეული მუხლი ცალკე.

გამგე ს. ვახვახიშვილი. პირველი შენიშვნა შეეხება ბოთლებს, რომ ბევრი იმტვრევა.

ხმები: მაგაზე გუშინ საკმაოდ ვილაპარაკეთ, უკვე გამოვარკვიეთ. ამათ დაეთანხმა უმრავლესობა, კრებამ მიიღო მეორე შენიშვნაც სათადარიგო თანხაზე, რომ იგი უეჭველად სახელმწიფო ქაღალდებით ინახებოდეს. შემდეგ კომისია ეხება წევრთა მიერ მეტის ფულის გატანას და ამბობს, რომ ეს კარგდება სახიფათოაო. მცირე კამათის შემდეგ კრებამ მიიღო გადაწყვეტილება: მეტის ფულის გატანის საქმე ექვემდებარებოდეს სარევიზიო კომისიის და გამგეობის წევრთა შეერთებულ კრებასაო. ბოლოს სარევიზიო კომისია ამბობს, რომ ბაქოს განყოფილებას მეტი ყურადღება უნდა მიექცესო. კრებამ მოხსენება კომისიისა მიიღო სახელმძღვანელოდ.

ამის შემდეგ უნდა მოესმინებინათ კრებისათვის თავ. რ. ყარალაშვილის განცხადება, მაგრამ თვით ყარალაშვილი არ იყო კრებაზე და გადასდეს იმის მოსვლამდე.

თავ. ნიკოლოოზ აბაშიძე. კრებამ გადასწყვიტა, რომ მეტის ფულის გაცემის უფლება მიეცეს სარევიზიო კომისიის და გამგეობის წევრთა შეერთებულ კრებას, მაგრამ ეს გადაწყვეტილება უკანონოდ მოხდა. თავმჯდომარეს ვთხოვ კენჭი უყაროს ამ საკითხს. მე იმ აზრისა ვარ, რომ მეტის ფულის გაცემის უფლება მარტო გამგეობას ჰქონდეს. კარგად მოგეხსენებათ, მეტის ფულის გატანა მაშინა ჰხდება, როცა წევრი ძალიან გაჭირვებულია, როცა, როგორც იტყვიან, დანა ყელზე არის მიბჯენილი; ამასთანა წევრისათვის სახიფათო დროს სიჩქარეს დიდი მნიშვნელობა აქვს. მინამ ორსავე ორგანოს წევრნი თავს მოიყრიან, მე ჩემი დამემართება. საჭიროა, ეს საქმე ისე იყოს მოწყობილი, რომ სიჩქარეს არა აბრკოლებდეს-რა.

გაიმართა კამათი. გამოირკვა, რომ მეტ ფულად უნდა ჩაითვალოს ის, რაც იმ წლის მოსავლის საფასურს აღემატება. ამასთან თავმჯდომარემ მოაგონა კრებას გამგეობის წევრთა თხოვნა, რომ უფლება მეტის ფულის გაცემისა გამგეობის და კომისიის წევრთა შეერთებულ კრებას მიენიჭოს, და კენჭი უყარა. კრებამ 30 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 8-სა მიიღო წინანდელი გადაწყვეტილება.

გამგე. ახლა საკომისიო ჯილდოზე უნდა მოვილაპარაკოთ. წესდებით 2 და 3% იყო გადასახადი. მერე შევარჩლეგინეთ ეს მუხლი 5%—20% დე.

გამოირკვა, რომ საზოგადოების საქმე ისე კარგად მიდის და გამაგრებულია, რომ შეიძლება 5% გადასახადითაც დაკმაყოფილდეს. კრებამ მიიღო 5% გადასახადი.

გამგე. მოგების განაწილებაზე უნდა მოვილაპარაკოთ. გამგეობამ განიხილა ეს საკითხი და წევრნი ვერ შეთანხმდნენ: ორი წევრი იმ აზრისა იყო, რომ მოგება წევრების გაეყოთ, ერთი წევრი თხოულობდა, რომ მოგება სარდაფის ასაშენებლად გადადებულიყო. მერე ეს საგანი სარევიზიო კომისიამ განიხილა და უმრავლესობა მიემხრო გამგეობის წევრს ბ-ნ რცხილაძეს, მოგება სარდაფის აშენებისათვის გადიდოსო.

თავმჯდომარე. ვიდრე მოგების საქმეს გადავწყვეტდეთ, გთხოვთ მოისმინოთ ორი თხოვნა თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავ. დიმიტრი ე. ჩოლოყაშვილისა.

წაიკითხეს ორივე თხოვნა. ერთით თავ. ჩოლოყაშვილი თხოულობდა ქისისხევის გლ. მესხიშვილისათვის შემწეობას, მეორეთი თავ. რატიელ ერისთავის სახელობაზე დასაარსებელ სტიპენდიისათვის 80 მან. კრებამ ერთხმად გლ. მესხიშვილისათვის მოგებიდან გადასდო 200 მან., რატიელის სტიპენდიისათვის 80 მან. კრებას მოხსენდა კიდევ ორი თხოვნა წინამძღოლის თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილისა, რომელიც ერთით თხოულობდა, რომ კახეთის მევენახეთა საზოგადოებას მონაწილეობა მიეღო იმ სასწავლებლის შენახვაში, რომელიც განზრახულია დაარსდეს უმაღლესად ნაძებულ ფულით, მეორეთი თხოულობდა, რომ კრებამ დაავალოს საზოგადოების გამგეობას შეამაგლოს წესდების მე-36 მუხლის შეცვლაზე წინაშე სამინისტროსი შუამავლობა, ეს მუხლი ისე შეიცვალოს, რომ კრებაზე დასწრება შეეძლოს წევრის ვაჟიშვილს, თუნდაც თვითონ არა წევრთა რწმუნების წერილით. კრებამ მცირე კამათის შემდეგ ორივე თხოვნა გადასცა გამგეობას სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად.

ამის შემდეგ წაიკითხეს თავ. რევაზ ყარალაშვილის განცხადება. აი, ეს განცხადება:

„მოწყალეო ხელმწიფევ, უფ. თავმჯდომარევ! გთხოვთ, უმორჩილესად ეს ჩემი მოხსენება წაუკითხოთ, ანუ გადასცეთ სიტყვიერად ჩვენს ამხანაგობის საერთო კრებას. წინა წლებშიაც არა ერთხელ შემიტანია ეჭვი, რომ რამდენიც ზაზიამანი მიმქონდა გაუხსნელის ბოჩკით, ის რაოდენობა ფუთისა არ ამოდიოდა, რაც ჩვენ გვქონდა მიღებული ბოჩკის ზედ წარწერით. წლეულს კი უფრო დავუკვირდი ამ საგანს. ერთის 18-ს ფუთიანის ბოჩკიდან, რომელსაც ჩემის ხელით უწყამდი მეზვრეს, დააკლდა ფუთი და ოცდა-ხუთი გირვანქა და მეორე ბოჩკა, რომელიც იყო 17-ს ფუთისა, გავხსენი თანა დასწრებით ადგილობრივის ნაცვლისა გიგლო ბადიაშვილისა, ილიკო წიფლიაშვილის და სოსიკო ემიტაშვილისა, ავწონეთ ხალასი ზაზიამანი და დააკლდა 1 ფუთი და 3 გირვანქა. ამის შესახებ დასარწმუნებლად დადგენილს ოქმს ვერ ვადგენ, რადგან ტფილისში არ გამომყოლია და თუ ისურვებს კრება, შემიძლიან გამგეობას წარვუდგინო შემდეგში. მხოლოდ სასურველია უფრო კარგად მოწესრიგდეს საქმე, არც ჩვენ ვიყვნეთ ზარალში და არც გამგეობა იმყოფებოდეს საყვედურში. შესამჩნევ ზარალად უნდა ჩაითვლებოდეს, თუ რაც ამხანაგობას ბოჩკებით ზარალი მოხდის, ესე იგი ზაზიამანი, ყველა ბოჩკა ასე ნაკლებათ იქმნება.

„მეორე შემთხვევა ასეთია. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენ ამხანაგობის სარდაფს ვაძლევთ ღარძლა მოუკრაეის ტკბილით, ე. ი. საწყაოთი ღვინოს, მაგრამ აქაც ეჭვი გვეპარება ძალა უნებურად. მაგალითებრ, იმ ბოჩკაში, რომელშიაც სირაჯის ჩაწყულ ღარძლით უნდა ჩავიდეს ორმოცი ჩაფი ქვევრიდამ რომ იღებთ, ჰხედავ ისევ 40 ჩაფის ანგარიში ჩავიდა ქვევრის რაოდენობის მიხედულობით, იმ დროს, როდესაც რამდენიმე ჩაფი უნდა იმატოს ღარძლა მოუკრავმა ღარძლა მოკრულ ხელჩაფაზედ. არა ნაკლებ სასურველია, მხედველობაში იქონიოს კრებამ, რომ ერთი და ერთი გამოწყული და დაბეჭდილი ბოჩკები იქონიონ, რომ გასაკუთრებით იმ ბოჩკებით ეზიდებოდნენ და ისევ ცარიელებს აბრუნებდნენ შემდეგ პარტიის წასაღებად, თორემ ზოგი ბოჩკა ტყდება, ახალს ფიცარს უსმენ და პატარავდება, ზოგის გამოწყვას ვერ ასწრობენ სიჩქარით, ახალ ბოჩკაში ასხამენ და ვარაუდით ამბობენ, ამდენნიანიაო. რომ ეს ეჭვი თავიდან ავიცილოთ და ზარალშიაც არ ვიყვნეთ, სამჯობინარია უკეთ მოეწყოს; ამასთან როდესაც ღვინო მიაქვთ და ბოჩკებს ამსებენ, თუ გადასამსები აღარა აქვთ ახლოს, ნაცვლად იმისა, რომ ცარიელ ბოჩკაში ჩაწყონ, ქვევრს ნაკლულად სტოვებენ და აღარ მიაქვთ; კარგი იქმნება, რომ ოცი, ან ათ ვედროიანი ბოჩკები იქონიონ ღვინის ამომღებთ ნაჭრად დარჩენილ ღვინის წასაღებად“.

„ამასთანავე საჭიროა ერთი რიგიანი კაცი, რომ სარდაფს რიგიანად თვალ-ყურს ადევნებდეს, რადგან თავ. სვიმონ ვახვახიშვილს არ ძალ-უძს გაუძლვეს დიდძალ ხალხის მოთხოვნილებას, და ამასთანავე ღვინის საწყობსაც, სიაადაც უნდა ყოველ დროს თვალ-ი

ლი უვარგისობა და უსაზ...
გნია თავისი ...

...ული ჰარმონია იქმნება. ასეთ წყო-

არა ჰქონია ცხოვრებაზე, როგორც მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში. ცხადია, ... ღვთიური ... ნაწარმოებით ...

ფილისტერს მიჰყვება ცოლად. აქ ნათლადაა აღნიშნული რა დიდ როლსა თამაშობს ცხოვრებაში საზოგადოებრივი ან კლასობრივი ტრადიციები, ნათლადაა დახატული, რარიგ შებორკილია ადამიანი. სენზე, რომ... როგორც ყოველ ადამიანს, სრული ... ცხოვრობ, წმი... ...წევს

ადევნოს. ვისაც დაიჭერენ, უნდა ნათქვამი ჰქონდეს, რომ გასაღები იმას ებაროს და ადრე გაუღებდეს კარებს ბოჭებს და განუშორებლად იმყოფებოდეს, ვიდრე პადვალი დაიკეტებოდეს, მეორე კარების გასაღები უნდა ინახებოდეს გამგეობის ხელში და მხოლოდ მაშინ უნდა გადასცეს ხოლმე ეს გასაღები, როდესაც ღვინის ბოჩკების ჩასაზიდად დასჭირდებათ. ჩაზიდვის უმალ უნდა დაიკეტოს და გადაეცეს გამგეობას. სასურველი იქნება, ეს კარები დაკეტვის გარდა ლუქითაც იბეჭდებოდეს ამხანაგობის ბეჭდით და ყოველ გაღების დროს იშინჯოს ხოლმე, რადგან ხმა არის გავრცელებული, ტფილისში სარდაფის მოსამსახურეთ, ვიდრე გამგეობა მივა, დილით დიდ ძალი ღვინო გააქვთ ჩუმად იარმუკასა და რიყისკენ გასასაღებლადო; უზიდავენ იქაურს წვრილ-წვრილ ვაჭრებსო. იმედია, კრება ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევს. ზალიკა მოჯამაგირეს, რომელსაც ჩვენის სარდაფის ავლა-დიდება აბარია უმეტეს წილად, ჩემის აზრით, დიდი გაბედვა არის ამოდენა ნდობის მინიჭება. დასასრულ, ურიგო არ იქმნება, კრება კანტორასთან ერთი ოთახის მომატების ნებას მისცემდეს გამგეობას, რომ ამხანაგს შეეძლოს გამგეობას მოელაპარაკოს საერთო ანუ კერძო ინტერესებზედ და გამგეობას ჰქონდეს ამისთვის დრო დანიშნული, თორემ არამც თუ სარდაფის ვაჭრობის საიდუმლო, რომელიც სასურველი არ არის გარეშე პირთ იცოდნენ, თვით ჩვენ საკუთარ გარემოებასაც იგებენ და ვინც არ მგონია, ერევა ჩვენ საკუთარ ინტერესების საქმეში და თავიანთ აზრებს ურევენ, თითქო მოეწვიენოთ რაიმე საგნის გასარჩევად, რომლითაც ბევრჯელ გამგეობას ხელს უშლიან გადაწყვეტაში.

დავშთები თქვენი უმორჩილესი მონა

თავ. რევაზ ყარალაშვილი".

გამგე. აქ რამდენიმე საკითხია. სჯობია, ცალკცალკე განვიხილოთ. პირველად არის შაბიამნის დაკლებაზე. ეს წარმომდგარა უბრალო შეცდომით. თავ. ყარალაშვილს მოუთხოვნია გამგეობისაგან 35 ფუთი შაბიამანი და როცა წაუღია ბოჩკები, ჰგონებია 35 ფუთი ხალასი შაბიამანი უნდა იყოსო. აღმოჩენილა 2 ფ. 33 გ. ნაკლები, ე. ი. 31 ფუთი და 37 გირვ. თქმიც შეუძლებელია, მოწმეებიც დაუსწრია. ეგეთი ეს უბრალო შეცდომაა. ჩვენ თავ. ყარალაშვილზე გვიწერია 31 ფ. 33 გირ. შაბიამანი ე. ი. 4 გირ. ნაკლები, ვიდრე ნამდვილად აღმოსჩენია. ვიმეორებ, ეს უბრალო შეცდომაა.

თავ. რევაზ ყარალაშვილი. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მე არავის შეურაცხყოფა არა მქონდა განზრახვად.

გამგე. რაც შეეხება სარდაფში სხვა მეღვინის ყოლას, ამაზე გამგეობაც დიდი ხანია ჰფიქრობს, მაგრამ თვით სარდაფის ზოგიერთი პირობები გვიშლის ხელს, რომ ინტელიგენტი მეღვინე ვიყოლიოთ. ჩვენ იქნება ამ ცოტა ხანში კიდეც მოვახერხოთ ამ მხრივ საქმე. შემდეგ ღვინის უწვენოდ სარდაფიდან გატანის გამო უნდა მოგახსენოთ, რომ ესეც მართალია. ჩვენ ხან 10 და ხან 11 საათზე მოვდივართ, ღვინო ამ დრომდის ბევრჯელ გამოაქვთ და უკზავნიან მსმარებლებს ან გაჰრიან, მაგრამ ეს ღვინო სულ საზოგადოების ფაქტურებით მიდის. არ დავიმალავთ, იყო ორი შემთხვევა ქურდობისაც, რისთვისაც ორი კაცი დავითხოვეთ, მაგრამ არც ეს ქურდობა იყო ისე დიდი, როგორც აქ ამბობენ. სულ რამდენისამე ბოთლის ქურდობა იყო.

თუ მართალ...

ამგვარ განუთავებლობა ურიგებდეს წევრებს ფულს, რათა ტფილისში ჩამოსვლა აღარ სჭირდეთ?

გამგე. რასაკვირველია, შეიძლება, თუ კადასწყვეტთ, რომ ფული აღარავის არ მივსცეთ, გინდ ამისთვის ტფილისში ჩამოვა (ხანგრძლივი სიცილი).

თავმჯდომარე. გთხოვთ ,მოისმინოთ ერთი ახალი ამბავი.

გამგე. საგუბერნიო მთავრობამ მოითხოვა, საადგილ-მამულო ბანკისაგან ჩვენის წევრების გამგეობამ გადაიხადოს წევრთა ღვინის საფასურიდამ.

თავმჯდომარე. თუ კიდევ დავაგვიანეთ გადახდა, უეჭველია აგვიწერენ მამულებს. ისეთი სასტიკი მოწერილობა აქვთ მოსული მაზრის უფროსებს ამ საგანზედ, რომ არ შეუძლიათ, მალე არ შეუდგნენ შესრულებას. რასაც მოგახსენებთ, ეს მე დანამდვილებით ვიცი, ამიტომ გთხოვ კრებას, მისცეს ნება გამგეობას, ეს ხარჯი, შეძლების დაგვარად, იხადოს წევრთა მაგიერ.

კრებამ მიიღო წინადადება თავმჯდომარისა. დასასრულ მოხდა არჩევანი გამგეობის ერთის წევრისა და იმის კანდიდატისა. წევრად აირჩიეს გ. რცხილაძე (45 ხმით 4 წინააღმდეგ), ხოლო კანდიდატად—თავ. ი. ჯორჯაძე (47—2).

ნადიკვრელი.

დაბა-სოფლები

ჭიათური (იმერეთი). 13 თებერვალს, კრება ჰქონდა სოფელ შუაგანის გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობას. ეს წელიწადი მეორე წელიწადია ამხანაგობის არსებობისა. როგორც ანგარიშიდანა სჩანს, 1903 წლის 1 იანვრისთვის ამხანაგობას ჰქონია წილის ფული 2899 მან. 28 კაპ., მიბარებული ფული 1721 მან., სათადარიგო თანხა 1313 მან. 7 კაპ. და სხვა სულ ჯამი 5060 მან. 89 კაპეიკი. გასესხებული 5056 მანეთი. ნაღდ ფულად 4 მან. 89 კაპ. კრების უმთავრეს საგანს შეადგენდა განხილვა და დამტკიცება ამ ანგარიშისა. წაკითხვის შემდეგ იგი ერთ ხმად იქმნა მიღებული და დამტკიცებული. შემდეგ თავმჯდომარემ გ. ურატაძემ ჰკითხა კრებას, განაწილდეს მოგება მონაწილეებზე, თუ რაიმე შეიძინონ, ამასთან განუმარტა რამდენად საუმჯობესო იქნება, ამხანაგობა ამ ფულით საუკეთესო ხარისხის აბრეშუმის თესლს რომ გამოიწერდეს. უმრავლესობა დასთანხმდა ამ წინადადებას, თუმცა აქაური წვრილი ჩარჩები დიდ ამბავში იყვნენ, ნუ ურევთ თესლის საქმეს ბანკის საქმეშიო. მაგრამ წინააღმდეგი აღმოჩნდა თერთმეტი კაცი. ხმის უმეტესობით დაადგინეს შეძენილ იქმნას თესლი.

დამსწრე წევრი

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 თებერვალი.

ბელოსტოკი. 18 თებ...

გოლდფინსკისა და ...

დი—საზოგადო განათლების გაძლიერების შესახებ, გადასწყვიტა განიხილოს. სხვა მუხლების განხილვაც გადასწყვიტა კომიტეტმა —სამხატვრო მრეწველობის მოყვარული საზოგადოება ჰმართავს საერთაშორისო სათეატრო გამოფენას. საზღვარ-გარეთიდან უკვე მოვიდა ექსპონატები.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. სამხედრო საქმეთა მდივანმა ფორსტერმა შეიტანა წინადადება, რომლის ძალითაც საზღვაო სამინისტროს უფლება უნდა მიეცეს გაადიდოს ფლოტის სათადარიგო ზღვაოსანთა რიცხვი. პირველ კითხვის დროს პალატამ მიიღო ეს წინადადება.

ვაშინგტონი. კონგრესმა დროებით შესწყვიტა კრება. წარმომადგენელთა პალატამ მიიღო ორსავე პალატის შეერთებულ კონფერენციის ანგარიში ფლოტის შესახებ კანონ-პროექტის გამო, რომელსაც რუზველტმა კრების დასრულებამდე მოაწერა ხელი. გადაიდო ფული ექვსის გემის ასაშენებლად.

ტანჟერი. მანასტრმა მენებბომ დაჰქცია სენხაჯას ტომის სოფელი და დასწვა ქალაქი აინმედინა, სადაც გადარჩა მხოლოდ 40 კაცი. ხიტაიას ტომი სულთანს დაემორჩილა.

„კორესპ. ეგრ." იუწყება, რომ მოძრაობაა უცხოელთა წინააღმდეგათ. ორი ესპანელი დასჭრეს. ამის გამო ესპანიის ელჩი გამოელაპარაკა ადგილობრივ მთავრობას.

21 თებერვალი.

ირკუტსკი. ჩამოვიდნენ დეპუტანტები მატისენი და კოხავი, რომელნიც იაკუტსკი ოლქში მიემგზავრებიან ბარონ ტოლის მოსაძებნად.

პლაუენი. 19 თებერვალს დამით ზემო ფოხტლანდის ბევრ ადგილას მიწის ძვრა მოხდა.

ფეცი. გაზეთი „ჰერალდო" იტყობინება, რომ სულთანის ჯარებმა, აჯანყებულებთან სასტიკ ბრძოლის შემდეგ, უკან დაიწიეს. სულთანს 50 კაცი მოუკლეს და 100-მდე დაუჭრეს.

ვენა. ჩეხთა კლუბმა დაავალა დეპუტატებს ჰეროლდს, კრამარსა და ცაცეკს, შემდეგ სამშაბათს, როდესაც რეიხსრატს წარუდგენენ ხარჯთაღრიცხვას, გამოაცხადონ, რომ ჩეხები ოპპოზიციაში გადავიდნენ. კლუბმა დაადგინა, უკვე დონე იხმაროს სამინისტროს გადასაყენებლად.

პეტერბურგი. „პრავიტ. ვესტნიკ"-ში დაბეჭდილია, რომ მთავრობამ მიიღო რუსეთისა და შეერთებულ შტატების შორის მედიატორად არჩეულის ასსერის გადაწყვეტილება; ეს გადაწყვეტილება შეეხება დავას იმის გამო, რომ 1891 და 1892 წლებში რუსეთის კრეისერებმა ბერინგის ზღვაში დაატუსაღეს ამერიკის ოთხი ნავი; შტატების მთავრობამ მოსთხოვა მაშინ რუსეთს 343 242 დოლლარი გარდა 6%-ისა. მედიატორმა დაადგინა გადახდეს მხოლოდ 101 279 დოლ. და 6% გადახდის დღემდე. ამ სადავო საქმის მედიატორის გასარჩევად გადაცემა ნათლად ამტკიცებს, როგორ მნიშვნელობას აძლევს რუსეთის მთავრობა საერთაშორისო საქმეების ...

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს 38 წ.).

ბათუმისაკენ:—1) ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.); 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ფოთისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდან გამოდის:

ფოთ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 . 28 წ.).

განცხადებაი!

კავკასიის საიმპერატორო

სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებასთან

იყიდება

სეპარატორები

და ბაღდადის თეთრი და იტალიური ყვითელი აბრეშუმის თესლი. (ნ. 3—1)

წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში

იყიდება 1903 წლის

კალენდრები

1) კედ. კალენდარი ფასი 40 კ.; 2) საქართველოს კალენდარი გუნიასი—60 კ. უყდოდ და 70 კაპ. ყდით. 3) პატარა ჯიბის კალენდარი—20 კ. 4) ჩარკვიანის გამოც. კედლის კალენდარი 40 კაპ.

შეიძლება ფასდადებით გაიწეროთ: Тифлисъ, Грузинское Издательское Т—во, ლორის-მელიქოვის ქუჩა.

დაიბეჭდა და დაურიგდა გასასყიდად ყველა წიგნის მაღაზიებს

ახალი წიგნი

„ჩვენს დედებს"

პედაგოგიური წერილები ალექ. ნათაძისა

ფასი ხუთი შაური.

ადრესი: ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა ალ. ივ. ნათაძეს. (უ. 0—3)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაზაძისა	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი მოთხრობა—მელანიასი	—	20
დ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	—
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
IV ტ. ორ წიგნათ	—	80
...ცხვანელისა	—	10
...რბელია-		
	—	40
	—	60
	—	60
	—	20
		20
		50